



**გორის სულხან ცინცაძის  
სახელობის სამუსიკო კოლეჯი**

დამტკიცებულია  
სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის  
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის  
ბრძანებით  
ბრძანება N1/30. 19.06.2020

სსიპ –ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის რეკომენდაციები  
კორონავირუსის პრევენციისათვის

**თავი I. ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.**

1. კოლეჯში დამსაქმებლების, დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება მოხდეს სამუშაო ადგილებზე ვირუსული ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ზოგადი რეკომენდაციებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად.

2. სამუშაო ადგილებზე დამსაქმებლების, დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ზოგადი რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა ყველა სექტორისათვის, რომლის სამუშაო სივრცეში არის სულ მცირე ერთი დასაქმებული ან/და ერთი სხვა/მესამე პირი.

3. სამუშაო ადგილებზე ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შემუშავება უნდა განხორციელდეს იმ საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან/და გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა.

**მუხლი 2. სამუშაო ადგილზე ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციის ღონისძიებები**

1. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი „კონტროლის ღონისძიებების იერარქიით“.

## კონტროლის იერარქია



2. COVID-19 -ის გავრცელების რისკების სამართავად კოლექტიური გამოიყენებს კონტროლის შემდეგ საფეხურებს: „საფრთხის იზოლირება“, „პროცედურები“, „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.“

### I საფრთხის იზოლირება

ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან

ამ რისკ ჯგუფში შევა ყველა დასაქმებული და ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

ამ პუნქტის რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში პირი არ დაიშვება დაწესებულების ტერიტორიაზე.

### 2. ტემპერატურის გაზომვა დისტანციურად

სამუშაოს დაწყების წინ განხორციელდება პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი ტემპერატურის გაზომვით და გამოკითხვით. ამ მიზნით, მონაცემები აღირიცხება ჟურნალში (მისი წარმოება შესაძლებელია ელექტრონულად), სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- ტემპერატურული რეაქცია.
- შემდგარი კონტაქტი ავადმყოფ და ინფექციაზე საეჭვო პირთან.
- რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა.

N	შემოწმების დღე და საათი	დასაქმებულის შესახებ მონაცემები	ტემპერატურა	კონტაქტი (დიახ, არა)	რესპირატორული სიმპტომები (დიახ, არა)	შენიშვნა	ხელმოწერა

37 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის აღმოჩენის შემთხვევაში, პირი განთავსდება საგანგებოდ გამოყოფილ დაყოვნების ოთახში და აღნიშნულის თაობაზე ეცნობება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს სატელეფონო ნომერზე „112“.

ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირის აღმოჩენის შემთხვევაში სპეციალური იზოლირებული ოთახის / სივრცის გამოყოფა

სამუშაო პროცესში დასაქმებულისთვის სიმპტომების დაფიქსირების, ან ამ გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოვლენილი პირები, ასევე COVID-19-ის დადასტურებულ, ან სავარაუდო შემთხვევისას (ე.ი. პირები, რომელთა გამოკვლევა გრძელდება) თანამშრომლები და ვიზიტორები უნდა მოთავსდნენ სპეციალურად გამოყოფილ დაყოვნების ოთახში, რომლის შესასვლელზე დაიკიდება სპეციალური ნიშანი, რომელიც კრძალავს სხვა პირების შესვლას. იდენტიფიცირებული პირის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძოდ: საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერზე „112“. სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი(ექთანი) (აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - პირბადე, ხელთათმანები, სპეცხალათები, სახის დამცავი ფარი) გამოიკვლევს პირის ყველა ახლო კონტაქტს (თანამშრომლებთან) და ამ მოძიებულ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. აღნიშნული პირი ვალდებულია რისკ ჯგუფის წარმომადგენელ პირთან დაიცვას მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია. დაყოვნების ოთახში განთავსების შემდგომ, ჩატარდება ოთახის სრული დეზინფექცია.

**ახალი კორონავირუსის ინფექციის პრევენციის მიზნით სსიპ – ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამშრომლებს, პროფესიული განათლების სტუდენტებს, მიეცეთ შემდეგი რეკომენდაციები:**

ა) კოლეჯში მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების დაშვება მოხდეს წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით. ამ მიზნით მოხდეს წინასწარ ყოველკვირეული სასწავლო ცხრილის შედგენა კოლეჯის მონაცემებისა და შესაძლებლობების ( ფართი,

განლაგება, სტუდენტთა რაოდენობა, კონკრეტული სასწავლო სივრცის სპეციფიკა, პრაქტიკა/თეორია, სველი წერტილების რაოდენობა, შესასვლელი, გასასვლელები და სხვა) მიხედვით. (დანართი 2)

ბ) უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო სივრცეში ადამიანებს შორის 2 მეტრიანი დაშორება და აუდიტორიაში განლაგებისას სტუდენტების პირისპირ დასხდომის დაუშვებლობა;

გ) მოხდეს ნაკადების მოძრაობის განსაზღვრა უსაფრთხო 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით და ამ მიზნით მიწაზე შესაბამისი სტიკერების დაკვრა;

დ) კოლეჯის შესასვლელში ყველა პირისთვის მოხდეს თერმო-სკრინინგის ორგანიზება და ყოველდღიური აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. თერმო-სკრინინგის ჩატარებას უზრუნველყოფს კოლეჯის დარაჯი დისტანციური (უკონტაქტო) თერმომეტრის გამოყენებით; ხოლო აღრიცხვას აწარმოებს კოლეჯის ექთანი;

ე) კოლეჯის შესასვლელთან მოეწყოს დეზობარიერები და თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას სათანადო აღმნიშვნელი ნიშნები;

ვ) შემუშავდეს საინფორმაციო ხასიათის განცხადებები და განთავსდეს ისინი სხვადასხვა თვალსაჩინო ადგილზე;

ზ) კოლეჯის ტერიტორიაზე ნებისმიერი პირი დაიშვება მხოლოდ ნიღბით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სახის ფართი, ხალათებით შეშვება და მათი სწორი მოხმარების მიზნით ინსტრუქტაჟების ჩატარება;

თ) მოხდეს სველ წერტილებში ხელის დაბანის საშუალებების და არანაკლებ 70 პროცენტის სპირტის შემცველი სადეზინფექციო სითხის არსებობა (ხელსაბანი, ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები), თითო ფლიგელში თითო სადეზინფექციო სანიტაიზერის არსებობა;

ი) სველ წერტილებთან დალოდებისათვის იატაკის მონიშვნა 2 მეტრიან დისტანციაზე, სველ წერტილში არაუმეტეს 2 ადამიანის შესვლის დადგენა, კონტროლი აღჭურვილობაზე;

კ) მოხდეს სამუშაო ადგილებზე ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებების განთავსება და მათი გამოყენების პრაქტიკის უზრუნველყოფა;

ლ) მოხდეს დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაციის უზრუნველყოფა, თუ ამის შესაძლებლობა არ არის ხელოვნური ვენტილაციის მომეტებული უწყვეტი რეჟიმის გამოყენება გარე სივრციდან ჰაერის შემოტანით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით;

მ) საჭირო ადგილებზე განთავსდეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა და სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;

ნ) დასაქმებულთა ყოველდღიური რესპირატორული მონაცემების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;

ო) სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა (ჟურნალის წარმოება);

პ) მოწყვლადი ჯანმრთელობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის აქტივობების ადაპტირება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირის კოლეჯში ვიზიტი.

ჟ) ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყოს საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 01-123/ო ბრძანების ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ სათანადო დანართის შესაბამისად.

## მუხლი 2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესი

ა) კოლეჯის თანამშრომლებისთვის საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ნიღბების დარიგება, ხოლო საჭიროებების შემთხვევაში სხვა დამცავი საშუალებების (სახის ფარი, დამცავი სათვალეები, ხელთათმანები და ა.შ) გადაცემა;

ბ) კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების მიერ პირბადის გამოყენება მოხდეს შემდეგი წესის შესაბამისად:

- ნიღაბი უნდა ფარავდეს ცხვირისა და პირის მიდამოს და მჭიდროდ უნდა იყოს მორგებული სახეზე;
- ნიღბის გაკეთების წინ უნდა მოხდეს ხელების დაბანა საპნითა და წყლით ან სპირტისშემცველი ხსნარით დამუშავება;
- მოხმარებისას პირი არ უნდა შეეხო ნიღაბს, ხოლო შეხების შემთხვევაში, უნდა დაიბანოს ხელები საპნითა და წყლით ან დაიმუშაოს სპირტისშემცველი ხსნარით;
- ნიღბის მოხსნა უნდა მოხდეს უკანა თასმის მეშვეობით და არ უნდა მოხდეს მის წინა ნაწილზე შეხება;
- ნიღბის მოხსნისთანავე უნდა მოხდეს მისი მოთავსება დახურულ ნაგვის ურნაში, ხოლო ხელების დაბანა საპნითა და წყლით ან სპირტისშემცველი ხსნარით.

გ) ხელთათმანის გამოყენება უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

- ხელთათმანის აღება და მის ზედა კიდეზე შეხება;
- ხელთათმანის ჩაცმის შემდეგ უნდა მოხდეს მეორე ხელთათმანის აღება შიშველი ხელით და მის მხოლოდ ზედა მხარეზე შეხება;
- მეორე ხელთათმანის ჩაცმისას უნდა მოხდეს ხელის მოკიდება გარედან, რათა არ მოხდეს კანზე შეხება;
- არ უნდა მოხდეს ისეთ ნივთებზე შეხება, რომელიც დაარღვევს ხელთათმანის მთლიანობას;
- ხელთათმანის მოხსნისას უნდა მოხდეს პირველი ხელთათმანის მოხსნა ისე, რომ არ მოხდეს კანზე შეხება;
- მეორე ხელთათმანის მოხსნისას არ უნდა მოხდეს შიშველი ხელით მასზე შეხება;
- მოხსნილი ხელთათმანი უნდა მოთავსდეს დახურულ ურნაში.

დ) კოლეჯის ტერიტორიაზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე კონტროლს უზრუნველყოფს შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც ასრულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციებს;

ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კოლეჯის თანამშრომლების მიერ გამოყენებლობის შემთხვევაში, კონტროლზე პასუხისმეგებელი პირი უფლებამოსილია მიმართოს დირექტორს შესაბამისი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე.

### **მუხლი 3. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის წესი**

ა) კოლეჯის ტერიტორიაზე და ყოველ ფლიგელში განთავსდეს ფეხით ასახდელი კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი უნდა იყოს პლასტიკური პაკეტი;

ბ) კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების და სხვა მესამე პირების მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცები და სხვა გამოყენებული ჰიგიენურ ნარჩენები უნდა განთავსდეს დახურულ კონტეინერებში;

გ) ნარჩენების გატანა და კონტეინერების გაცლა მოხდეს მათი 2/3-ზე გავსებისას კოლეჯის დამლაგებლის მიერ ხელის ჰიგიენის დაცვით. გაცლის შემდეგ კონტეინერებს ჩაუტარდეს დეზინფექცია შესაბამისი საშუალებების გამოყენებით.

### **მუხლი 4. კოლეჯის საერთო ფართის სანიტარული დასუფთავების წესი**

ა) უნდა მოხდეს კოლეჯის საერთო ფართის ყოველდღიური სანიტარული დასუფთავება. კერძოდ, სახელოურების, მოაჯირების, კარების სახელოურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება განხორციელდეს პერიოდულად 3 საათიანი ინტერვალებით შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებების მეშვეობით;

ბ) კოლეჯის სამუშაო და სასწავლო სივრცეები ყოველდღიურად დალაგდეს სველი წესით;

გ) კოლეჯის დარბაზის, სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება მოხდეს გაღებულ ფანჯრებისა და ფრამუგების მდგომარეობაში;

დ) საპირფარეშოები და სამედიცინო კაბინეტი დასუფთავდეს სადეზინფექციო საშუალებებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

ე) კოლეჯის საპირფარეშოები დასუფთავდეს სამ საათში ერთხელ დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით (იხ. **ნუსხა**);

ვ) კოლეჯის ტერიტორიაზე არ დაიშვას უმეტესაღმრთელო ცხოველები;

ზ) კოლეჯში უზრუნველყოფილი იქნეს ნახმარი წყლების მოცილება/არინება და სეპტიკური ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ;

თ) კოლეჯის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ჩატარდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება;

- ო) სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება მოხდეს ყოველდღიურად. უნიტაზის დასაჯდომი ჩასარეცხი ავზის სახელურები და კარების სახელურები გაირეცხოს ცხელი წყლითა და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- კ) დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში ( კარის სახელურები, კარები, მაგიდის ზედაპირები, მუსიკალური ინსტრუმენტების, კომპიუტერების კლავიატურა და მაუსები);
- ლ) ჰაერ-წვეთოვანი ინფექციის დროს ხშირად განიავდეს დარბაზი, ოთახები გაიწმინდოს მტვრისაგან, დასუფთავდეს სველი წესით.

#### მუხლი 5. პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა ვალდებულებები

- ა) ზოგადი ჰიგიენის წესების დაცვა დაწესებულების სივრცეში;
- ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად და უსაფრთხოდ გამოყენება;
- გ) ხელების ჰიგიენის დაცვა, სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა;
- დ) ხილული დაბინძურების ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით;
- ე) პერსონალი, პროფესიული სტუდენტები უნდა მოერიოდონ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უნდა უზრუნველყონ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება ( შესაძლებელია ჩაჩის ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება).

#### მუხლი 6. სალექციო და საგამოცდო პროცესის დროს გამოსაყენებელი პრევენციული წესები

- ა) მაგიდების განლაგებისას დაცული უნდა იყოს 2 მეტრი დისტანცია;
- ბ) გამოცდაზე არ დაიშვება არცერთი პირი დამცავი ნიღბის გარეშე;
- გ) დაუშვებელია აპლიკანტების ან სტუდენტების მაგიდებთან განთავსება ერთმანეთის პირისპირ;
- დ) გამოყენებულ უნდა იქნას ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
- ე) ყოველი ცვლის შემდეგ გამოყენებულ უნდა იქნას სანიტარული შესვენება;
- ვ) საგამოცდო დარბაზის შესასვლელში უნდა იყოს ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70 პროცენტიანი ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი;
- ზ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა და სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- თ) ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს ხელის ჰიგიენის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას ასეთი ნარჩენების დროული გატანა კოლექტის დამლაგებლების მიერ.

